

ივერია

გაზეთის დასავეთად და კერძო განცხადებ-
ათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თეიმონ
რედაქციას, ახალ-ბუბუთოვის ქუჩაზე, სახ-
ლი № 9, შვედლოვს სავაჭროს, ცენტრალ-
ურს და გრიგორის წიგნების მაღაზიებს.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრი-
ქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საზოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერია“ 1 ივნის-
სიღამ წლის დამლევამდე
ღირს 6 მან. 50 კაპ.

ტფილისი, 9 ივნისი

საადგილ-მამული კრედიტის ავ-
კარგინობის დაფასება და აწონვა
ვისაც უნდა, იმან ყველაზე უწი-
ნარესს ბუნება უნდა გაუსინჯოს
თვითონ კრედიტს იმ მხრით: უნ-
დება, თუ არა იმ საქმეს რისთვის-
საც მოწვეულია. ამის გარეშე ყო-
ველი სჯა და ღაპარაკი უქმია და
უთავბოლო. რაკი ასე არც-დარე-
ვით ვლასარაკობთ ხოლომე საად-
გილ-მამული კრედიტზე, რაკი
მისი ბუნება და დანიშნულება ცხა-
დად არ არის ჩვენში წარმოდგე-
ნილი და ცნობილი ბევრისაგან და
ამის გამო სჯასა და გამათობაში
აზრთა არეულობა ჰსურევს, საჭი-
როა ერთხელ და ერთხელ გრცლად
განმარტება საადგილ-მამული კრე-
დიტის ყოველ მხრივ. იქნება ეს
ოდესმე მოვანერხოთ და ეხლა კი
მოკლედ ვიტყვი, რომ ბუნება
საადგილ-მამული კრედიტისა სწო-
რედ ზედ გამოჭრილია ადგილ-
მამულის საჭიროებაზე და ამის
გამო იმ ნაირად შეფერუებულია
მიწასთან და მიწათ-მოქმედებასთან,
რომ ვისაც კი ჰსურს იგი გამოი-

ყენოს, უსათუოდ ხელს მისცემს
და ახერხებს. დანიშნულება საად-
გილ-მამული კრედიტისა განკარ-
გებაა მამულ-დედულისა, გაძლიე-
რება მიწათ-მოქმედების დონისა
და მომცემლობისა.

მიწათ მოქმედობა და ერთობ
ყოველივე მრეწველობა, რომე-
ლიც დამოკიდებულია მიწასა და
მის ბუნებაზე, იმისთანა რამ არის,
რომ ხარჯს განკარგებისა და
მომცემლობის გაძლიერებისა მ-
დე და ერთბაშად არ უბრუნებს
ჰატრონსა. თავნი ფული, ჩაყრი-
ლი მიწაში განსაკარგებლად და
მომცემლობის გასაძლიერებლად,
დღისანა რჩება მოუბრუნებლად
და ერთბაშად უკუ არა ჰბრუნ-
დება. მარტო კარგა ხნის განმავ-
ლობაში მიწა იხდის, ანუ უკედ
ვსტყვით, უბრუნებს ჰატრონს
თავის ფულს და მის სარგებელს
ცოტ-ცოტაობით და თან-და-თან-
ობით გაძლიერებულ მომცემლობის
ნამეტანობისაგან. მეცნიერთაგან
გამოკვეთილია, რომ მიწაზე
დამოკიდებული მრეწველობა, ყვე-
ლაზე უმაღლესად დაბრუნებული
თავის თავის სარგებლით, პი-
რუტეზე მოშენებაა: ამათაც კი უნ-
დება თვრამეტი წელიწადი და არა
ნაკლებ. სხვა ყოველი მრეწველო-
ბა, მიწაზე დამოკიდებული, თხო-
ულობს თითქმის ოც-და-ათს, ორ-
მოცს და ორმოც-და-ათს წელი-
წადს, რომ ამ ხნის განმავლობა-

ში განკარგებისათვის დახარჯული
თავნი ფული და სარგებელი მისი
თან-და-თანობით აყენოს და დაუბ-
რუნოს დამხარჯველსა. ესეთი ბუ-
ნება მიწისა და მიწათ-მოქმედო-
ბისა.

იგი დონე, რომელიც მიწისა და
მიწათ-მოქმედობის განკარგებისა
და გაძლიერებისათვის მოიწვევს
ხოლომე საჭირო ფულს, საადგილ-
მამული კრედიტია. მასთანავე,
ბუნება ამ გვარის კრედიტისა შე-
თანასწორებული უნდა იყოს მი-
წისა და მიწათ-მოქმედობის ბუნე-
ბასთან, სახელდობრ: კრედიტი
უნდა იყოს ხანგრძლივი და მას-
თანაც ისეთი, რომ მისგან მოტა-
ნილი და ნასესები თავნი თავის
სარგებლით ერთბაშად არ მოი-
თხოვოს და სჯერდებოდეს თან-
და-თანობით, ცოტ-ცოტაობით ნა-
სესების დაბრუნებას. სწორედ
ამისთანა საადგილ-მამული კრე-
დიტი: ხანგრძლივი, მაგალი-
თებრ, ტფილისის ბანკში 43 1/2 წე-
ლიწადზე ნაკლები არ არის, და
ამისთან თან-და-თანობით დამჯერი
თავის და სარგებლის დაბრუნე-
ბისა.
ერთადერთი წყარო, რომელიც
ბანკიდან ვადის ამდებს სახსარს
აძლევს ვადის გადხდისას, მიწა
და მიწათ-მოქმედება, ადგილის
ვადის თავნით განკარგებული და
გაძლიერებული. რა პირობითაც
თვითონ წყაროა ვადის მხდელი,

თუ იმ პირობითვე არ არის ადე-
ბული ვადი, მხოლოდ მაშინ არის
კრედიტი, ვადის მძლეველი, და-
საწუნარი და უარ-საყოფელი. საად-
გილ-მამული კრედიტის პირობანი
კი სწორედ იმისთანა არიან, რა
პირობითაც თვითონ წყაროა მისი
გამძლეობი: ხანგრძლივი და არა-
ერთბაშად დაბრუნებული ნასესე-
ბისა, არამედ ცოტ-ცოტაობით და
თან-და-თანობით.

მაშ რას უწუნებენ ჩვენს ბანკებს?
განა ჩვენის ბანკების კრედიტი ამის-
თანა არ არის, ესე არ არის მო-
წყობილი? ამისთანა და ესეა მო-
წყობილი, ხოლო ამბობენ, რომ
ჩვენ მაგებისათვის მომზადებულ-
ნი არა ვართ და ვერ მოვანერხებ-
თა; ჩვენ რაკი ფულს ავიდებთ
ვალად, მაშინვე ვჭამთ და ვა-
ლი ვადად ვაწვებთ. აქ ბანკი
რა შუამია? იმ შუამია, გვიბძა-
ნებს ბ-ნი აკაკი: რომ ადვილად
გვაძლევს სესხად ფულსა და ევ
წავაგვადენს ხოლომე. რომ ადვი-
ლად არ იძლევადენ, ნუ თუ
მაშინ ჩვენი ბანკები უფრო გულ-
მესატყვარნი, უფრო თანაგრძნო-
ბის დირსნი, უფრო უკეთესნი იქ-
ნებოდნენ? ნუ თუ მაშინ წუნი
ადარ დაედებოდათ? ადვილად შოვ-
ნა ფულისა, არა გვგონია, ქვე-
ნის დამდუშავი იყოს სადმე და თუ
ჩვენს ქვეყანას ევ დაჰდუშავს, პირ-
ველი მაგალითი იქნება მთელს
ქვეყნიერობაზე. ესე რომ ვი-

როთ, იქამდის მივაღოთ, რომ
საადგილ-მამული კრედიტის გა-
იფებაც უფრო ბოლომდე მოგვი-
დებს, რადგანაც იფეს კრედიტს
უფრო ბევრი მუშტარი ეყოლება,
უფრო ბევრი წაეტანება, იფეი კრე-
დიტი უფრო ბევრს წააცდენს
ვადს ადებინებს იმათაც კი, ვინც
სიძვირის გამო ეხლა ახლოსაც
არ ეკარებინან. მაშინ ხომ სულ და-
ვიდუშებით და დავიდუშებით!...
ეხლა რომ ჩვენ ერთი ფულის წყა-
ლობა გვეწიოს, გამოჩნდეს როტ-
შილდი და გვიტონას: აბა ვისაც
გიჭირთ, ფულს გასესებთ, სარ-
გებელი არ მინდა, ოდონდ თავნი
დამბრუნეთო და თუ არ დამი-
ბრუნებთ, თქვენს ქონებას ვაზღვე-
ვინებო, — ნუ თუ ეს სანატრელი
კაცი ქვეყნის დამდუშავებად ჩაი-
თვლებოდა მარტო იმით, რომ
გავკვიდვით ფულის შოვნა, ჯერ
მით რომ ფულს სესხად გვაძლევს
და მეორე მით, რომ სარგებელს
არა ჰბოლოვობს!... განა ამისთან
ვადის ამდებზედ კი არ ითქ-
მოდა იგი, რასაც ბ-ნი აკაკი წერე-
თელი ამბობს ჩვენის ბანკებიდან
ვადის ამდებზედ, რომ რაკი თავ-
ნის დაბრუნების ვადა მოუვიდო-
დათ და ცარიელის თავნის ვადა-
სანდებლად არაქათი არ ექნებო-
დათ,

მაშ-მაჰველის დაკარგვა ენახებოდათ
და თავს აღარ იზოგავდნენ, ოღონდ კი
იმ შემთხვევას გადარჩნოდნენ. მამა-სინ-

ფელეტონი

ს ა ჩ ი ნ ლ
(დალაღ-აზნაური)
ამბავა

— მე ვახლდი ერთი ახალ-გაზდა,
ჯერ კიდევ წვერ-ულღამ ამწვანებუ-
ლი აზნაური, ფრიად ღარიბი ოჯახის
შვილი. — დაიწყო ასე თავის ამბავი
ბუხარის წინ მიხრუტულმა მოხუცმა,
რომელსაც ქალაჩი თმა მეტის სიბე-
რისაგან კიდევ გაყვითლებოდა. ის
მუღამ ყალიონს*) ალაკუნებდა და
წამის-წამს აპურკუნებდა ბუხარის ლა-
ღარში. იქ რომ ორიოდ სანათი ჰყო-
და, იმათ თითქოს მოხუცის ყალიონ-
თან პირობა შეეკრათ. თვითონ მო-
ხუცი ნიადღ უჩინხალებდა ბუხარში,
მაგრამ ნელღი შეშა აღს არ იკაბე-
და. აღარც მის ყალიონს გამოჰქონ-
და თუთუნის ბოლი. პატრონი თით-
ქოს ამით გამოჯავრებული ხან ნა-
ვერცხალს დადებდა ჩიბუხზე, ხან
გამოაქრტილიანებულს ჩიბუხის ტარს
უქმუტუნებდა, ხან ბუხარს უბრა-
და. „წვეულო სიბერე, ყალიონიცი
აღარ გემორჩილება — წამოიძახა ამო-
ოხრით ჩემმა მოსაუბრემ, ჯავრიანად
გამოფრთხა ჩიბუხი, მიაყულა ბუხარის

გვერდზე და განაგრძო უწინდელი საუ-
ბარი. „კარგი ღრო იყო ჩვენი ღრო;
აწ იმისთანა ღროს ჩვენი შვილი და
შვილი-შვილები ველარ მოესწრებიან.
რა მშვიდობიანობა იყო, რა უზრუნ-
ველი ცხოვრება, რა ნაღობა, რა
მხიარულება, რა შექცევა, რა ღროს
გატარება!.. ჯერ საღ იყო ბატონ-
ყმობის გაყრახე ლაპარაკი?!.. სიმზრა-
დაც არ მოგვემანებოდა ეს ამ-
ბავი.

„იმ ღროს მე ვახლდი შეკვლე-
ბული ერთს გამოჩენილის თვადი-
შვილის ოჯახში. კარგი ცხენი შერს
საჩინოს, — ასე ერქვა მოხუცსა — კარგი
იარაღი, კარგი ჩაცმა, კარგი დახურ-
ვა, ხან მიპატრონება, ხან მოპატრონე-
ბისი და აღერსი ჩემს ცხოვრებაში
გაუწყებულად იყო, აბა, ღროც ის
იყო. ჩემს ბატონს მთელი იმ კუთხის
თვადი და აზნაური ყველანი დიდ-
ბატონს ეძახოდნენ, მისი წვევა ყველას
დღის წყალობად მიანდათ, მისი
შემოწერომა — ღვთის რისხვად. მე ვი-
ყავი მუღამ მისი ხლებული, მისი ბე-
დაურის გამხდენელი, მისი ქორ-მიმი-
ნოს გამწაფავი, მისი მწვეარ-მეძებ-
რის დამგეზავი. როცა საკურდლოთ,
ან სახობოთ წავიდოდით, ჩემს ზა-
რით ხმას მთები ირეკლებდნენ. „ჰა,
კვესიაო“, გარებდნენ რომ გადმო-
ძახებდი, ბარად ერთი ალიანქოთი ატყ-
დებოდა. მაინც საკვირველი მეძებარი

იყო ჩემი კვესია! გავიგონებდი თუ
არა მის „ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა!“ — ეიცო-
დი კურდელი ჰყავდა და მეც მივძა-
ხებდი: „ნელა, კვესია, არ დაგეკარგოს,
არ დამკლა! გვენაბე, გვენაბე! ჯერ ნუ
მოუცახანებ, მზად არა ვართ; მარჯ-
ვეთ იყავი, ციკა არ დაგეკარგოს!“
ნულმ გინახავს კარგი ბატონის მსახუ-
რი, ისე ესმოდა ჩემი სიტყვები. მა-
შინვე გაქმენდა ხმას, მე დიდ-ბატონს
ვეტყაოდი, ზემო საქარში გასულიყო
თავის მწვერით, რომ იქით მოედარა-
ჯებინა. იქითვე იყო აღმართი და
ზედ ნავიშალი. წინ-და-წინ ვიცო-
დი, კურდელი იქით გახტებოდა.
„ჰა, კვესია, მივძახებდი, დაუკარი ზარა,
არ გავგაროს ეგ მხდლი.“
„ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა!“ — მომესმოდა.
კვესია მიჰყვებოდა კვლამ კურდელს.
წინ-და-წინ იცოდა, რომ დიდი ბატო-
ნი და «თოვლია» მწვეარი საქარში
იყვნენ განაბულნი. ვითამ კურდელი
გაბედვდა ქვევას, თუ? შენც არ მო-
მიკვდე. საითაც კურდელი პირს იზამ-
და, კვესიაც იქითვე დაუფლიდა თავს
და ისევე საქარსკენ მიაბრუნებდა. რა
გზა ჰქონდა ყურ-გძელს ციკას, საქარ-
ში უნდა გამხტარიყო. ამ ღროს დი-
დი ბატონის მხიარული ხმაც მომეს-
მოდა: «ჰა, თულია!.. შენ მაცხონე
თეთრო ძაღლიო!..» წინ კურდელი
ყურებ-დაქიმული მიჰქროდა, უკან
თულია მისდევდა, მიწაზედ გაკრული,

მერე კვესია, ზარის ხმით მიმყვარი
და მათ უკან ჩვენ, მიმკვირვნი და
მიმძახნი. დილით განთიადზე რომ
წავიდოდით, წირვის ღრომდის ორი
კურდელი მაინც არ მოგვეტანა, არ
იქნებოდა. დიდი ბატონი, ნაღობო-
ბის შემდეგ რომ გამოებრუნებო-
დით, ძალიან გამხიარულდებოდა, იმის
ხუმრობას საზღვარი არ ჰქონდა. გა-
მარჯვებული კვესია ჩემს გვერდით
მოცანცალებდა, ენა გამოგდებული
და კულ აზუკილი. ეს მისი გამარჯ-
ვების ნიშანი იყო. სხვა მეძებრები
და მწვერები კი წინ მიხტოდნენ, მიწა-
ვარ-აბდნენ, ერთმანეთს ელაბუცე-
ბოდნენ. ისინიც თითქოს მხარს აძ-
ლევდნენ დიდი ბატონის ხუმრობას.
ჩაივლოდით თუ არა ბატონის ეზოში,
შეუძლებელი იყო, რომ ბატონის
გოგო, საბედა, ის ჩემი სიცოცხლე
და სიყვარული, აივანზე არ ყოფილი-
ყო გადმომდგარი. მისი კუპრით შა-
ვი თვლები, თანაგრძნობით ანთებუ-
ლები, პირველ ჩემს თვალგებს გაუ-
ჩნდნენ ცეცხლს და ჩემს გულს შე-
მოსდებდნენ სიყვარულის აღს. ამის
შემდეგ როგორღა შემეძლო, სადმე
მიფარებულს ალაგას მისი ვარდით
შეწითლებული ტუჩები არ დამენაშა.
დიდი ბატონის ოჯახში განა გოგოე-
ბი არ იყვენ? მას გარდა შვილი სხვა
იყო, მაგრამ საბედსთანა ემხიანი
დღისაზედაც არავინ იყო. იმას ვანაც-

ვალე ყველანი, ჩემი საბედა სხვა სან-
ლობიანი გოგო იყო. წელ-წერწეტას
და შე-თვალეებს მინდვრის ყაყჩოხა-
ვით გაუფთქოდა ლოყები. მისი შოლ-
ტივით ნაწნავები წელს ქვემოდ
დენ, ყორნის ბოლო — დალაღ-კავე-
ბი ინლო-ჯარივით გარს შემოდგო-
მოდენ და მისს თურაშაულს ლოყებს
ღარაჯობდნენ. იმათ შეეკრათ ციხის
გალავანი ლოყების გარშემო, შიგ
ჩაესვით ჰუტუნა არსებანი, დილით
ნიავს არ აკარებდნენ, ღამით სიოსა.
მაგრამ ამ ერთგულმა ყარაულებმა
მაინც ვერ შეიძლეს ჩემი მიჯარული
ქაბუკობის სიყვარულის წინააღმდეგ
გამაგრება. ამან ანაზღად მირეკ-მო-
რეკა, აფუშ-დაფუშა დალაღ-კავები
და გამოიყვანა ციხიდან მშვენიერი
ტუსლანი. ისინი იმ წუთას ისე თრთო-
დნენ ჩემს ცხელს ტუჩებს ქვეშ, რო-
გორც ხობობი ქორის კლანჭებს ქვეშ.
სეტყვასავით ზედ დაყრილმა ურიცხე-
მა ჩემმა კოცნამ უმოწყალოდ დათო-
ვილა საბედოს ყაყჩო-ლოყები...
* * *

დიდ ბატონს წელიწადში ერთხელ,
თუ ორჯელ უყვარდა ქ. ქ...ს ჩახე-
ლა სხვა-და-სხვა საოჯახო საქონლის
საეკორად. მგზავრობა მოგვიხდებოდა
ან აღდგომის წინა-კვირებში, ან ქრის-
ტეშობის თვეში. დიდ ბატონს რო-
გორც საკუთარს ოჯახში, ისე ოჯახს

*) ყალიონი — ჩიბუხს ჰქვია.

ხლად იღებდნენ განუღებ სადმე სესხს და მით კიდევ უარესს საფრთხეში ვარდებოდნენ: ერთხელაც იყო ის მამულეები ვაჭარგებოდა და განუღებ კიდევ «როგორღე» ფაქტობრივად აღებული ვალი საშვილი-შვილივლად ჰქონებოდა... და სხვანი.

არა, ბატონებო! თუ ვაღლის ამდებამ ვაღლი იმითაი იბოდა, რომ ფული შეჭამოს, იმას არა უმეფლის-რა, იმას არა იხსნის-რა მიწასთან გასწორებისაგან. ყოველი წესი, რიგი, დაწესებულება, სიკეთე მართლაც წინ-დახედულის, ფრთხილის, გონიერის კაცისათვის არის ქვეყნიერებაზე და არა გიჟისა და დამთხვეულისათვის. გიჟი, დამთხვეული დღეს იქნება, თუ გვადე კლდეზედ უნდა გადავარდეს, ამ ბედს იგი არსად არ წაუვა. აქაო და ქვეყანაზედ გიჟები არიანო, ჭკუიანებისათვისაც ხელმოსაცვლელად და ხელთ-შესაწყობსაც ნურას იხანათო, — ეგ მეტის მეტი თავ-დაუჭერელი, შეუწყნარებელი და საუბედურო სურვილი.

ახალი ამბავი

* კირას ამ თთვის რვას თერთმეტის საათის ნახევარზე აღსრულდა ტფილისში კურთხევა გადაკეთებულის კათოლიკეთ ღვთის მშობლის მიძინების და ამალღების ძველის ეკლესიისა, რომელიც ფრანგების ქუჩაშია, შუა-ბაზართან ახლოს. სამღვდლოება სკოლის შენობადამ, რომელშიაც დროებითი ეკლესია იყო, გამოვიდა აიაშის კურთხევი და ვალობით და დიდება შემოაუარა ძველის საყდრის შენობას; მრევლი და უცხო ხალხი ბლომად დაესწრა. საყდარი ჯერ ცარიელი იყო და დიდების გათავების შემდეგ გაილა კარი, სამღვდლოება და მრევლი შევიდა ეკლესიაში და დაიწყო ლითანია (ვედრება) ყოველ-

გარეთაც ბევრი ჰქადა დასასაშუქრებელი. არც ერთი დღესასწაული არ გაივლიდა ისე, რომ ჩითყულობა მინც ერთი სახანე არ ეყიდნა, ზოგი ნაღდად, ზოგი ნისიად. ახლა ჩოხები რაჭულის შალისა, ქულები და ქამრები კიდევ სხვა იყო. რამდენიც ფარეში და სხვა მდებალი ხელობის მოსამსახურე ბიჭი იქნებოდა ოჯახში, თითოეულ მათგანისათვის თითო ჩოხა, თითო ქუდი და თითო ქამარი უნდა ექუქნა ყოველს წელიწადს. ამას გარდა მოახლოებს და გაძღვებს ჩითის საკაბეები, „კანსიცები“, ბაღდადები და სხვ. ძიანათლი დედებიც ბევრი ჰქადადენ ღიდ ბატონს. ყველას იმათგანს უნდა მიეღო თითო საკაბე თავისთვის და თითო სახალუხე წილისათვის. სახლი-კაცობა, მანლობე-ლი ნათესაებები, ვინც კი ცოტა შეუძლო ოჯახისა იყო, ან ობოლ-ღარიბი, ყველანი, გამოელოდენ საჩუქრს ღიდ ბატონისაგან. ამის გამო ყოველ დღესასწაულის კვირაში ათი, ან თხუთმეტი თუმანი რომ არ ჩაეტანა ქ...ს სხვა-და-სხვა ვაჭრებისათვის, არ იქნებოდა. ეს იყო ოც-და-ათის წლის წინად. ახლა, ამ დროში, იმოდრობას ვერც ასი თუმანი იხამს. ქ...ს ვაჭრებს შორის, ნამეტნათ ურიებში მე ღიდი პატვისცემა ჰქონდა. ვინ ბაღდადს მიფეშქაშებდა, ვინ

თა წმინდათა. ზარით და მალლის ხმით გაისმოდა ეს ლოცვა, რომელსაც მშვენიერად გამოხატავს ტორკვატო ტასსო თავის ლექსებში (დახსნილ იერუსალემში) როდესაც ასწერს ჯვაროსნების მხედრობა რომ ამ ვალობით მიდის იერუსალემის გაღვივანთან უკანასკნელად გასაპარჯებლად. შემდეგ რამდენისამე უსალომუნისა, სამღვდლოებამ საყდარშივე ისევ ღიდება შემოიარა აიაშის კურთხევითა და დაიწყო წირვა ეკლესიის განახლების მოთაემ და წინამძღვარმა, პატრმა დიმიტრი თუმანი-შვილმა, ორის სხვა მღვდლის თანამწირველობით. წირვის საგალობლებს ვალობდნენ ტფილისის ოპერის გამოჩენილი არტისტები და ზოგი საგალობელი მშვენიერად აღსრულებს, მაგალითად: „მარწამსი“ — კომპოზიტორის მერკადანტისი და „წმიდაო წმიდაო უფალოა“ წირვის დროს წინამძღვარმა წარმოსთქვა სიტყვა შესაფერი ეკლესიის კურთხევის დღესასწაულისა, რომელშიაც მოიხსენა, რომ ამ ეკლესიის დასრულებისათვის განსვენებული იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა 1806 წ. უწყალობა შემწეობა და დახმარება. წირვის შესრულებამდე დახდით იქნა პარაკლისი ხელმწიფე იმპერატორისა და მისის სახლობისათვის. ბოლოს მრევლი შეიკრიბა წინამძღვრის თუმანიშვილისას მის მისალოცავად და მალღობის გადასახდელად. აქ მან მიიწვია მრევლი კურთხევის აქტის ხელის მოსაწერად. ყოველივე ეს გათავდა უხვის საუზმით და საღმრთლოებით.

ეკლესია, როგორც მოხსენებული იყო «ივერიაში», გოთიკურის არხიტექტურისაა. შეიგნადა შენობა წარმოადგენს ვრცელს გაშლილს ფართო ადგილს, რადგანაც ძველი სვეტები აულიათ. ჰერი აქვს შუაში ბრტყელი და ნაპირები ალმაცურად გარშემოკვლებზე დაშვებული. სამი სამწირველო ტრაპეზი აქვს; ერთი ღიდი აღმოსავლეთისა მშვენიერად მარმ-

რილოს ქვით აგებული. ეკლესია განათებულია, რადგან ღიდრონი ფანჯრები აქვს. მოწყობილობა და მართულობა მარტივია და მოხდენილის ხელოვნებისა.

* * * ძალიან უჩივიან ქალაქის სამკურნალოს მხატვრებს წრეს ვასულ ქცევას. მეტად სასტკად ექცვიან ეს ვაჭარებები თურმე ავად-მყოფებს და უმეტესად იმ გვარებს, რომელთაც სატკიერის გამო ლოგინდგან ავადმა ვერ შეუძლიანთ. ერთი ავად-მყოფი არ მოიპოვება მთელს სამკურნალოში, რომ მათი მადრიელი იყოს. ავად-მყოფი რომ შუა-ღამისას სატკიერამა შეაწუნოს და ეხვეწოს, მორიგე ექიმი დაუძახებო, ლოგინდგან არ დაიძერის და სადაგლად გინებას დაუწყებოს. ბევრჯერ იჩიილეს ავად-მყოფებმა ამ საქმის გამო უფროსს ექიმთან, მაგრამ აქამდე ამ საქმეს ჯერ ვერა ეშველა-რაო.

* * * მათს უდიდებულესობას სპარსეთის შაჰს კავკასიის მთავარ მართებელ თავად ა. მ. დონდუკოვ-კორსაკოვისათვის უბოძებია თავისი სურათი ბრილიანტის თვლებით მოფენილი ყელზედ სატარებლად. ეს ჯილდო ამ დღებში მიართვა სპარსეთიდან დაბრუნებულ ტფილისის კონსულმა მათს ბრწყინვალეობას.

* * * პარასკევს, 6 ივნისს წყალში ჩაგარდნილთა მამეულ მამინის პატრონის დოლანოვისათვის შეუტყობინებიათ, რომ მტკვარში ვილაც ქალი ჩაგარდა. ბევრი უძებნიათ, მაგრამ ვერ უპოვნიათ. ხმა დადის, რომ ეს ქალი ღურგალ მ-ლ აზ-ის ცოლია ამ დღებში მეურთავს იგი ღურგალს და ქორწილის მეორე დღეს საღდაც მიჰყარებია. ზოგი ამბობს კიდევ, რომ ჩვენ თითონა ენახეთ, როგორც კუკის ხიდის კიბეზე ჩაღიდა და წყალში გადავარდაო.

* * * გუშინ ვარანცოვის პირდაპირ ქუჩაზედ რამდენიმე ურემი მი-

ღიდა, ამ დროს ცხენის რკინის გზის მატარებელმაც გამოიარა. მატარებელი და ურემი ვერ გაიმართნენ და იძულებულ იყვნენ მატარებელი რამდენისამე ხნით გაეჩერებინათ. ამის გამო გადმოხტა მატარებელიდან კონდუქტორი და დაუწყო უწყალოდ ცემა ბეჩავ გლეხებს. არ ვიცით, თუ გლეხები რა დამნაშავენი იყვნენ ამაში, ან კონდუქტორს № 13 ს რა ნება ჰქონდა მათის ცემისა. კარგი იქმნებოდა, ამ საქმისთვის ყურადღება მიექცათ.

* * * 1885 წელს ტფილისში სულ 35-ჯერ გაჩენილა ცეცხლი და ამათში 11 სახლი სრულიად დაწვეარა. უმთავრესი მიზეზი ცეცხლის გაჩენისა ცუდად გამართული ქუჩები ყოფილა. 22-ჯელ ცეცხლი ქუჩების უფარგისობის გამო გაჩენილა, შემთხვევით — 3, უცნაო მიზეზებისაგან — 3 და, დასასრულს, ძალიან წაუცილებიათ 7-ჯერ.

* * * 7-ივნისს, ნაფოლუზთან, წყლის ნაპირას მტკვარმა გამოიყა ტფილისის მოქალაქის მიხეილ აზოვის ცოლი, ნინა, თვრამეტის წლისა. დამრჩვალს არაფერი ნიშანი არა ჰქონდა ძალად დარჩოისა. გვაძი ნათესავებს ჩააბარეს დასამარხავად.

* * * 7-სავე ივნისს, პოლიციის 6 განყოფილებაში, 1 კლასიკურის გენზაშის 5 კლასის შეგირდს არჩილ ჯორჯაქის გუფუზი-ლეზლობით თოჯი გაუვარდა და მარცხენა ხელის ჩონჩხი დაეშვა.

* * * ამავე დღეს, დილის 11 საათზედ ვადით დაწვედელი ტუსალი ტფილისის მეტყესისა ალექსეი ხაბელოვი ქალაქის სამუშაოდგან გაიქცა.

* * * 8 ივნისს ღამეს ვერის სასაფლაოზე ტფილისის მოქალაქეებმა გიგო ასიჭოვაშა და ნიკოლოზ ჩენლაძემ სპარსეთის ქვეშევრდომი ისქანდერ-ალექსანდროლი შიმიდ დასტრეს. ვერ თავში მიარტყეს უშველველი ქვა და თავი გაუტყეს და შემდეგ მუცელში დანა გაარტყეს. დაშავებული სამკურნალოშია გაგზავნილი. დამნაშავენი პოლიციამ დაატყუა.

* * * 8-სავე ივნისს, სამხედრო სამკურნალოში უეცრად ავად გახდა და გარდაიცვ-

და კაპიტან დენიგის ცოლი, რომელიც ის-ის იყო მოვიდა სამკურნალოში წოლილ ავად-მყოფის ქმარის სანახავდაო.

* * * ცხინვალიდან გვეწერენ, ამას წინედ აქ ერთი უბედურება მოხდა. აქ მოვიდა ერთი ქალაქელი ბ—ნოვი და მოჰკლეს აი ეს საქმე როგორ მოხდა. ბ—ნოვისა თურმე რალაცა ფული მართებდა კ—სა, რამდენიმე წელიწადი სთხოვდა, მომე ჩემი ფულიო, მაგრამ კ—ნი სულ ჰპირდებოდა მეტიმისაო და მეტიმის კიდევ—მეორე მეტიმისაო. ბოლოს რომ რამდენიმე წელიწადი ელოდა ბ—ვი და მობეზრდა, ამ რამდენიმე დღის წინედ მივიდა და უთხრა, ან ჩემი ფული მომეცი და ან მამულს ავიწრაფო. როგორ თუ ამიწრაფო, მივიდა თურმე და ღიდი უშველველი კეტი დაათლიშა თავში. აქ მოეშველნენ თურმე მის მამულში მოსახლე ოსები და კეტებით იმდენი სცემეს, რომ სული დალია საბრალომ. ბ—ნოვი ქალაქში ჩამოიტანეს და გუშინ, 9 ივნისს დაასაფლავეს როგორც ვავი-გეთ, ამ საქმის გამო გამოიძება სწარმოებოს.

* * * ვლადიკავკაიდან გვეწერენ: მინდვრის ოსების ახლო-მახლო სოფლებიდან თითქმის ყოველ კვირა დადიან საბანაოდ სანების თბილ წყლებზედ. ეს წყლები ჯერ არაგის არა აქვს გამოკვლეული და თითქმის რომ ჯერ არაფერ არც-კი იცის მისი არსებობა. მე გამოვიკითხე ამ წყლის ამბავი და აი რა შევიტყუე. სოფელი სანება ყლადიკავკაის მახრას ეკუთვნის, მთა ადგილია და დასავლეთით ცნობილ ყაზბეგის მთაზედ არის მიბმული. ამ სოფ. სანება მთაზე გამოჩნდა ავერ რამდენიმე წელიწადი მშვენიერი მარგებელი თბილი წყალი. გასაკვირველი ეს არის, რომ ეს თბილი წყალი უზარ-მზარ ყინულ ქვეშ გამოდის, რომელიც ზამთარ-ზედ უფრო დაუდნობელია სძევს. ეს წყალი ისეთი ცხელიაო, რომ შეუჩვეულმა კაცმა თუ ფრთხილად არ

— ამ დროს ბატონი დააკტერდა ერთს ხუთ არშინიანს ხალს, უდიდესი ურიას არ ჰქონდა.

— მოშა, როგორ არის ეს ხალიჩაო?

— მაგისთანა ხალიჩა-ე სტამბოლს აქეთ არ იქნება-ე, ბატონის სიცოცხლემ ძვირად მაქცე-ე ნაყიდი; მაგრამ თქვენ მინც ნახევარ ფასად მოგართმევთ-ე. თქვენ ჩემთვის სხვა ბანადებით. თქვენი პატვის-ცემა ჩემს ოჯახზე გადუფალია-ე.

— თქვი, ბევრს ბოდიშობას თავი დაანებე

— სულ იათად მოგართმევ-ე... სულ ტყუულადც რომ მოგართვა, თქვენზე რა დამეკარგება. თორმეტ თუმნათ მიირთვი. ამ სიტყვებზე მოშამ გადმომხვდა, და დამეღიჯა.

ღიდმა ბატონმა შორს დაიქირა ეს ფასი; მაგრამ ეშმაკმა ურიამ რომ შეატყო, ბატონს ხალიჩა მოსწონსო, დაუწყო მზეზე ხერხიანად შლა და ხალიჩის ფერადები უფრო აპირალე-ბინა მზის სხივებს. ღიდ-ხანს ივაჭრეს; მაგრამ თითქოს ვერ როდებოდნენ. ბოლოს ბატონმა სთქვა, პატარა არი-სო.

— ბატონის სიცოცხლემ-ე, ახალი საქონელია, კიდევ ბევრს გაიწევს, გაიზღებო!...

ღიდმა ბატონმა თითქოს დაიჯე-რაო ურის სიტყვები, დასწვდა ხა-

ლიჩას, დაუწყო ხელით სინჯვა და უთხრა ურიას—ჰო, ეთქვათ მოიმატებს, მაგრამ მაგდენს ვეღარაფერს.

მე კინაღამ სიტყვი შემსკდა. ურიამაც უღვაშეში ჩაიციანა. ღიდმა ბატონმა უცებ გადმოხვდა:—საჩინო, შენ რას იტყუი? ღირს ათ თუმნად?

მე შეეჩრდი. ურიამ ჯერ თვალი თვალში გამიყარა, მერე უტბად სამ ადლიან ხალიჩისკენ მიიხვდა. მიგხედი რომ ჩემი კვირის დაკრა და ხალიჩის შოგენა ერთი იქნებოდა.

— ათ თუმნად-კი არა, თერთმეტ თუმნადც იათა-მეთქი.

— კარგი, იყოს შენი პატვის-ცემისათვის ათი თუმანი და ნახევარი, — ბანა ღიდმა ბატონმა.

— არა, ჩემი რჯულის მადლობა-ე, ღიდ ზარალში ვარ, ცამეტ თუმნათ ნაყიდა.

— ურია, ბევრს ნულარ ლაქ-ლაქობა—წყრომით შეეძახე. — ბატონმა რომ გიბანოს, გაათავე. მაგის კავი-კი, სხვის მანეთს გერიოოს.

— რა გაეწყობა; მაგრამ ჩემი რჯულის მადლობა-ე, სამ თუმანს ვზარალობ—იხანდა წვერების ცმაცუნით ურია.

ბევრი ამისთანაები შამოგხარჯა ურიას; მაგრამ ღიდი ბატონი ყელარ

ჩააპარა ფეხი, გულს შეუღონებს სი-
ცხე და ეგრევე, რომ ფეხი გამე-
ფუფქავს ამ წყლებზე მრავალი ოსტი
დაღან საზნაუროდ, რომელიც კი ან
ქარებით, ან წელის ტკივილით არიან
ავადია, როგორც ამბობენ, ორის
კვირის განმავლობაში სულ ერთი-
ნადა საღებებია. საუბედურად, ამ
წყალს რიგობი პატრონი და მომე-
ღელი არა ჰყავს და ამ ყამად სანე-
ბელ ოსის ძარახაშვილის ხელშიაო.
ამ წყალს არც რიგობი გზები აქვს,
ასე რომ ვერც ურემი მიუღდება ახ-
ლო და ვერც ცხენოსანი და საღგო-
მი ოთახებიც სულ უბრალო ქვით
არის აშენებული, გაუღესავია და ზე-
მოღვან ფიჩხები აფარია. ადვილად
შეიძლება იქ წასული კაცი გაცივდეს
და უარესად ავად გახდეს. კარგი
იქნებოდა, რომ ამ წყლისთვის ყუ-
რადღება მიექცათ და გამაყვლით
მისი მარგებლობაო.

* * * იქიდანვე გვწერენ: ამას წი-
ნად სოფელ გიხელში სეტყვა მოვიდა
და გიხელზე ახლო-მანლო მდებარე
სოფლებსაც გადაჰყარა. სეტყვამ ყანე-
ბი სულ გაანადგურა და ისეთი მსხვი-
ლი იყო, რომ ზოგიერთი სახლებზე
კრამიტები დაამტვრია. გიხელელებს
წლებულ პურის იმედი აღარა აქვთ.
თუ რასმე გვიწვდის, ისეე სიმინ-
დი და ფეტვი გვიწვდისო. დანარჩენ
მინდვრის ოსების სოფლებში მოსა-
ვალს კარგი პირი უნახს. ზოგ სოფ-
ლებში თიბვა უკვე დაიწყო და ქვე-
რის მკასაც ამ დღეებში მიჰყოფენ
ხელსაო.

* * * როგორც სიღნაღამ იწერე-
ბიან, ამ დღეებში იქაურს მომრიგე-
ბელ-სასამართლოში გაირჩევა საქმე
ექიმების ქორიანიცისა და ბუშისა.
აი რაში მდგომარეობს ეს საქმე:
წლებულს, სოფელ ბაკურ-ცხენში გარ-
დაიცვალა სიღნაღის მასწავლებელი
აზნაურობის ნაწინამძღოლმეღარი თა-
ვადი რევაზ ფანაძე ფანაძეს თურმე
ქორიანიცის სწამლობდა. როცა

აჩქარა და ის გულში ფიქრობდა,
ურია მოვატყუეო.
ორი მსახური თან გვახლდა, ვუბ-
ძანე, ბიჭებს ხალი წაეღოთ სასახლე-
ში. შინ რომ მივედი, სადალალოდ
აღებულნი ჩემი სამ-ადლიანი ხალიჩა
ბინაზე დამხვდა.

* * *
ვინც დიდი ბატონის გლეხები იყ-
ვნენ, იმათში ჩემს სახელს მიწაზე
არაფინ დაადებდა. ისე დღე როგორ
გავიღოდა, რომ რომელიმე ბატონის
გლეხთაგანი ჩემს კარზე არ ყოფილი-
ყო ატუხული. ზოგი მთხოვდა ბა-
ტონთან დამიდგვი მოკიქულადაო,
ბეგარას სულ ნუ გამამართმევს ამ
წელსაო, ზოგი ამბობდა ბატონის
გადსახალი ფული ორი მესამედი ვი-
შოაწერო და მესამედის პატივებს იხე-
წებოდა.

მეც, რუსაკვირელოა, ვიცოდი დი-
დი ბატონის ხასიათი და არ შეიძლე-
ბოდა, რომ ჩემს შუამავლობისათვის
პატივი არ ეცა; მაგრამ დროც ვი-
ცოდი, როდის უნდაოდა თხრობა.
როგორც მოგახსენებ, დიდ ბატონს
ძალიან უყვარდა ნადირობა და თუ
გამარჯვებული დაბრუნდებოდიო,
მის მხიარულებას საზღვარი არ ჰქონ-
და; მაშინ განსაკუთრებით მე ვიყავი
მისი მოკიქვე, ქორი ხელზე მიჭდა,
მწვეარ-მეძებრები წინ მომიძლიდნენ

ავად-ყოფი მეტად ცუდად შეიქმნა,
მისმა ნათესავებმა მოიწვიეს აგრეთ-
ვე ელაღიკეციის ქვეითა-პოლიკის
უფროსი ექიმი, ამ დროს ლაგოდნში
ყოფი ბ-ნი ბუში (Буш). როდესაც
ექ. ბუშმა ავად-ყოფი გასინჯა და
და ექიმ ქორიანიცის გამოწერილი
წამლები ნახა, სთქვა, ავად-ყოფი
იმიტომ ჩავარდნილა ამისთანა მდგო-
მარეობაში, რომ ექ. ქორიანიცს
მეტის-მეტად ბევრი მორფი (морфия)
მიუტია. გაუგია ეს კიუზარინცის და
უჩივის, ცილი შემწამაო. ამ საქმის
გარჩევას და ბოლოს დიდის მოუთმე-
ნელობით მოვლიან თურმე იქაური
მცხოვრებლები. (გაზ. „კავკას“.)

* * * ორდუბათიდანა სწერენ გაზ.
„ნორ-დარ“-ს, აქ ამას წინედ ერთი
სასაცილო და მასთან სამწუხარო
ამბავი მოხდაო. ერთმა აქაურმა მცხო-
ვრებელმა ნახა თურმე სიზმარში,
რომ ეითამ მის სახლს ავაზაკები დას-
ცემოდნენ, წამოხტა და დაიწყო ყვი-
რილი. ყვირილზე გამოეღვიძა ცოლს,
მივიდა ქმართან და ამხედებდა, რომ
ჩვენს სახლს არავითარი ავაზაკები არ
დასცემიანო. მაგრამ ქმარმა ცოლიც
თურმე ავაზაკად მიიღო და დაუწყო
რაც ძალი და ღონე ჰქონდა ცემაო.
ხმაურობაზედ მეზობლები მოგროვ-
დნენ და რის წვალებით გამოჰგლი-
ჯეს გაცოფებულ ქმარს ხელიდგან
საბრალო მსხვერპლიო. ბოლოს, რო-
დესაც მიხვდა ქმარი თავის შეცდო-
მას, ბევრი ინაღვლა, მაგრამ ევლარას
უშველიდა: შემინებული და ნაცემი
ცილი ჰკუდიდან შეიშალაო.

* * * გაზ. „ახ. მიმოხ.“ სწერენ,
გორის მაზრიდამ, რომ წლებულს
ჩვენში პურს და საზოგადოდ ნათე-
სობას კარგი პირი უნახსო. ბოლახსა
და ბოსტნეულობასაც ვარეთვე კარ-
გი მოსავალი ეტყობათაო. განსაკუთ-
რებით კარგს მდგომარეობაშია ანეუ-
ლებიო. ჯერ-ჯერობით წვიმა და
სეტყვა გვზოგავს და შემდეგში კი
არ ვიცით, რა იქნებაო.

და მთელი გზა ველაპარაკებოდი ნა-
დირობის ამბავს, რომელიმე მეძებარმა
როგორ გამომჩინა თავი, ან რომელი-
მე მწვეარმა რა ხერხიანად ჰყარა კურ-
დღელს ქამანდი, მწვეარმა როგორ
დაავლო პირი, აისრალო მალლა და
როგორ დაიჭირა. ან ხოხობი რო-
გორ განაბა ძიგებში, ან ქორმა
როგორი ნაფარი ჰყარა კამარში და
სხვა ამისთანები. ამ დროს დიდი ბა-
ტონი მისთანა გუნებაზე იყო, რომ
გეთხოვა, მთელს საცხოვრებელსაც
არ დაგიჭერდა.

აი, ამ დროს ვიცოდი გლეხებისა-
თვის შუამდგომლობა და არც მახ-
სოვს ისეთი თხრობა, რომ დიდ-ბა-
ტონს ჩემთვის უარი ეთქვას. მაგიე-
რად ძღვენი და ძღვენი გაუხსნოეტი-
ლად მომძიოდა. ზოგს ცხეარი მოჰ-
ყავდა, ზოგს ინლაური, ზოგს ერთი
ცხრა პური, ერთი დოჭი ღვინო და
ერთი ყვერული. ისეთი სიუხვე იყო
ჩემს ოჯახში, რაკი კერა ავანთე,
რომ ძაღლი მქადას აღარ კიდრუ-
ლობდა.

ერთხელ მახსოვს, ჯერ კიდევ უცო-
ლო ვიყავი, დიდმა-ბატონმა ერთი
გლეხი განათავისუფლა რაჭაში. ის
ყო ქალაქი ვაზდლიო, ჩინებული
დურგალი; იმისას ამბობდნენ, თორმე-
ტი-ათასი სულ ცინცხალი მანათები
აქვს პარკებში გამოკრულიო. მოლა-
პარაკებანე მეც დავესწარი ბატონთან.

მეგობრობის განაპარპულშენი
დაუმტყვიცხათ: სეკრეტის თანამდგო-
ბაში ზედღედის სამაზრო სასამართლოს სე-
კრეტის თანამდგომლის დროებით აღმასრუ-
ლებელი—წ ე რ ე თ ე ლ ი, 28 მაისიდანა.
ქართლ-იმერეთის უწმინდესის სინოდის
კანტორის სეკრეტარი ს ი მ ო ნ ო ვ ი დათ-
ხოვნილია 1-ლ ივნისიდან ორის თვის ვა-
ლით; ამის თანამდგომლას აღასრულებს ამა-
ვე კანტორის სტოლ-ნაჩალიკა იმერეთის
განყოფილების ილია გ ი კ ნ ა ვ ე ლ ი ძ ე.
ამავე კანტორაში დაუნიშნავთ 1-ლ ხა-
რისხის „კანცელარიის მოსამსახურედ“ აზნა-
ური რომანოზ ჩ ი ნ ჩ ა ლ ა ძ ე.

და უ თ ხ ო ვ ნ ი ა თ: პოლიციის მოხე-
ლენი ტ რ ო ფ ი მ ო ვ ი და ს ო კ ო ლ ო ვ ი
თანამდგომლობამ და სრულიად პოლი-
ციის სამსახურიდან; ტუფილის გუბერნიის
სასამართლოში უფამაგიროდ მყოფი მოსამ-
სახურე ილია ქ ა რ უ შ ი ძ ე.
უ მ ა ლ ლ ე ხ ა დ ე ლ დ ო ჰ ზ ო ძ ე -
ბ ი ა თ: ვლადიმერი ვ ხარისხის ტუფილი-
სის გუბერნიის „საბუეო რევიზორს“ გ ა მ -
რ ე ე ლ ო ვ ს.
წ შ. სტანისლავა ვ ხარისხის ტყის
„ტაქსატორს“ ზ ა ქ რ ა ძ ე ს.

ნ არ კ ვ ე ვ ი
(ურნალ-გაზეთებში)

გლადსტონის კანონ-პროექტმა
ირლანდიის თვით-მმართველობის
შესახებ ვერ გაიმარჯვა. პარლამენტის
უმეტესობამ უარ-ჰყო ეს
პროექტი, რომელიც, ვითომ,
გლადსტონის მოწინააღმდეგეთა
აზრით, ინგლისის სახელმწიფოს
ერთობას დარღვევას უქადის.
ამ დამარცხებამ გლადსტონს ია-
რადი ძირს არ დაადებინა. „დიდ-
მა მოხუცმა“ უკან არ დაიწია, პარ-
ლამენტი დაითხოვა და ახალი არ-
ჩევანები დანიშნა. გლადსტონმა
მიჰმართა თავის ამომარჩევლთ მ-
ნიფესტით და უთხრა:

ქვეყანამ უნდა გადამწვევილოს ძალდა-
ტანებით ღონისძიებანი უნდა იქმნას მიღე-
ბული ირლანდიის შესახებ, როგორც ჩემ
მოწინააღმდეგეთა ჰყოთ, თუ თვით-მმარ-

კარგად დაერჩი, მე და ჩემმა დ ც რ თ-
მა; ას ო რ მოკლ-და-ათ თუმწად გ ა ვ ა -
რივე. მე გასამრიგლო არა მ ც ხ ო -
ვია რა; პირიქით იმან შემომამძლია
ხუთა თუქანია. ისეთი დამადლებული
წავიდა ჩემგან, რომ სულ ასე მომძა-
ხლდა, შენი ღმერთის პირიმი, რა
ენა-ტკბილი დაუბადებინარაო. შენ
მეწვიე, ნახე ჩემი ღარბი ოჯახიც.
შენმა სიცოცხლემ, ბატონო საჩინო,
ისეთს ღვინოს გასმევე, კახური დავა-
ვიწყოს. მერე კიდევ დაგასაჩუქრებ:
ორმოც-და-ათს, სულ ახალ-მოჭრილს
ნიკოლოზ ხელმწიფის მანეთს მოგარ-
თმეო. მეც გადაუწყვიტე, უნდა ვე-
წვიო-მეთქი.

ამის მესამე კვირას პეტრე-პავლო-
ბის დღე იყო. ჩემს მეგობარს გლესს
კარზე მივადექი. შევატყე მართლაც,
რომ ძალიან იამა: შენი გამჩენის ქი-
რიმი, ჩემო განმათავისუფლებლო.
შენ იმისთანა სტუმარი მეწვიე, რომ
დღეს შენი გულსათვის ეს ჩემი
ოჯახი ცეცხლზე უნდა დაედაღო.

თინათინ გამოდი და ქვე გამოი-
ყვანე ეგ შენი პატარძლები. დღეს
ჩემი ანგელოზი მეწვია სტუმრად. ქვე
ეს ის არის, რომელიც დაგეგმარა
ჩვენს განთავისუფლებაში.
მართლაც დარბაზიდან გამოვიდნენ
ქალები, ორი მინც, პატარძლებს
რომ ეძახოდა მასპინძელი, ქალთა-
მზებები იყვნენ. მასპინძლის ცალი

თველობა უნდა მიენჭოსო. ჩემი მოწი-
ნა-ღმდეგენი, — განაგრძო გლადსტონმა,
ამტყიცვენ, უარყოფა კანონ-პროექტისა
საჭიროა იმეტომ, რომ ინგლისის ერ-
სობა იყოს დაცული. მინც ყოველ
შემოსვენებაში კანონების მიერ მოხსენებუ-
ლი ღონის-ძიება არამც თუ ერთობას მოს-
პობს, არამედ, პირიქით, განამტყიცებს
კიდევ: ჩემი კანონ-პროექტი ირლანდიე-
ლებს შეარბევს დიდ-პრიტიანისთან და
ჩამოაციოს ამ ქვეყანას იმ ღაქას, რო-
მელიც მთელს განათლებულს ქვეყანას
სამარცხვინო ღაქად მიანიზაო.

ეს მართალი და პირუთველი
სიტყვა არ მოსწონებიათ ინგლი-
სის გაზეთებს; მხოლოდ გაზეთი
„Daily news“ სრულიად თანაუ-
გრძობს გლადსტონს და მომა-
ვალ ახალ პარლამენტში სრულ
გამარჯვებასაც უთქვამს:

ქვი არ არისო, — ამბობს გაზეთი, რომ
ინგლისის ერთ მხარს მისცემს ჩვენს „სა-
ხელოვან მოხუცს“ და შეამღებინებს ირ-
ლანდიის საქმის გარდაწყვეტას ისე, რო-
გორც მასა ჰსურს. 26 მაისს პარლამენ-
ტისათვის უარ-ყოფილი კანონ-პროექტი
მხოლოდ დროებით არის გადადებული და
არა საბოლოოდ უარ-ყოფილიო.

თითქმის ამავე აზრისა არის მთე-
ლი რუსეთის ქურნად-გაზეთობა.
ყველანი ერთ-ხმად აღიარებენ, რომ
გლადსტონის დამარცხება მხო-
ლოდ დროებითია და დარწმუ-
ნებით ამბობენ, რომ მომავალ
პარლამენტში გლადსტონის კან-
ონ-პროექტი ხელ-ახლად გაიმარ-
ჯვებო.

აი, მაგალითად, გაზეთი „Сов-
ременныя Известия“ რას ამბობს:

ჩვენ იმას აღარც კი ვგითხოვობთ,
ინგლისი მოინდომებს ირლანდიის თვით-
მმართველობას თუ არა; თვით-მმართვე-
ლობა უთუოდ აღიარებული იქნება, ენ-
ღაც თითქმის აღიარებულია, — ისეთ მცი-
რედის უმეტესობით იყო კანონ-პროექტი
პარლამენტში უარ-ყოფილი. ჩვენ მხო-
ლოდ იმას ვაფიქრობთ, ვინ იქნება ამ
საქმის დამატარებელი, ვის მრგობს
წილად ესეთი დიდი პატივიო.

გაზეთის სრული იმედი აქვს, რომ
ამ საქმეს ისევე ის დაატვირთვინებს,

შუა-ხნის ქალი იყო სასიამოვნო სა-
ხისა. როგორც კი გარეთ გამოვიდა,
მძიმედ თავი დამიკრა. იმას ნურკრები-
ვით გამოჰყვენ ორი მორთული ახალ-
გაზდა ქალი, სიმორცხვით თავი ჩაე-
ღუნათ. ნახად გაშლილს ია-და-ვარდს
რომ იტყვიან, ისინი იყვნენ. რად-
გან პეტრე-პავლობის დღესასწაული
იყო, კარგად მოკმაზულიყვნენ. ერთს
ეკვა ლალის ფერი ჩითი, მეორეს
ყანაოზი; ორივეს წითელი, მოქარგუ-
ლი დარაიის პერანგები უფარაფ-
დენ გულ-მკერდას. თაღლები უნებუ-
რად ძირს წავიდე; ბამბის ქულა ჰა-
წაწკუნა ფხვები ყვითელს ფოსტლებ-
ში ეღვათ, წითელი დარაიის თათები,
სირმით მოქარგულები კოჭებს ზემოდ
შემოჰფენოდან. ესეები რომ დავინა-
ხე, გულში ცეცხლი გამიჩნდა, თვა-
ლები ამერია; ვიფიქრე, სამოთხე აქ
დამიხვდა, მაგრამ ვინ იქნება ის მთა-
ვარ-ანგელოზი, რომელიც ამ სამო-
თხის ხილს მომამყვებინებს-მეთქი.
ჩემი გაღაშლილი მხარ-ბეჭი კიდევ
უფრო გადაეშალე, ეცლილობდი,
ერთ-ერთისათვის თვალი-თვალში გამე-
ყარა, მაგრამ იმ ჩემის გულის დამ-
წველმა არც ერთმა ჩემგან არ გამოი-
ხვდა. მასპინძელმა ცხენი და მათრა-
ხი ჩამომართვა. ცხენზე ვიჯექ, ბე-
დაურზე: იარაღი სირმითა და ვე-
ცხლის კოპლებით მქონდა გაწყობი-
ლი.

ვინც დაიწყო და ვინც ამდენი შრო-
მა გასწია ამ საქმისთვის.

ბოლოს-და-ბოლოს საქმე მინც იმი-
თი გათავდებოა, ამბობს გაზეთი, რომ
ინგლისის ერთ სახელმწიფოს გამგობას
ისევე გლადსტონს ჩააბარებსო, რადგანაც
დარწმუნებულია, რომ გლადსტონი ერთ-
გული მომხრეა მის ინტერესებისა და ამი-
ტომ იმაზედ უკეთესად ინგლისის შინაურ
საქმეებს ვერავინ მოაწყობო.

მართო გაზეთი «Московскія
Вѣдомости» ეჭვის თვლით უუ-
რებს გლადსტონის მიერ ადრუდელ
საქმეს. გაზეთი ინგლისის რამა-
ელებისაგან დანგრეულს სახელ-
მწიფოს კართავებს ადარებს და
შემდეგს შავის ფიქრებით სავსე მე-
რმისს უქადის: ბრიტანიის სა-
ხელმწიფოს:

იქნება იმ დროს ვესწრობითო, — ამ-
ბობს გაზეთი, რომ შეგვიძლიან ვსტკვათ:
ინგლისსაც კართავენის სეკ-ბედი მოე-
ლისო. ამას მეოცე საუუუნე გვიჩვენე-
სო... როგორც ინგლისელებმა ჰოლან-
დიელების ადგილი დაიჭირესო, — ისე ინ-
გლისელების ადგილს სხვა დაიჭერსო, —
მაგრამ ვინაა? ესლავე გარდაწყვეტილს
ვერას ვიტყვითო, მაგრამ დიდი ხანი კი
არ გაივლის, რომ მსოფლიო ისტორიის
ახალი მმართველი ჩქარა თავს იჩენსო.

გაზეთის ასეთი წინასწარმეტყვე-
ლება ახალი ამბავია. დიდი ხანი
არ არის მას აქეთ, რაც გაზეთი
ინგლისის სახელმწიფო წუაბი-
ლებსა და წესებს ყველას მაგა-
ლითად წინ უყენებდა. ნეტავი ენ-
ლა რადაზე გასწერამბა და ესეთ
უბედურებას რაზედ უქადის?

* * *
რუსეთის მწერალი სოფლო-
გუბი ივანებს თავის წარსულს
ცხოვრებას და ბევრს საინტერესო
ამბავს მოგვითხრობს. პატრივტიუ-
ლი ავტორი სხვათა შორის ივან-
ებს გამომჩენილს ღერმონტოვს,
რომელიმე ძალიან ახლო მეგო-
ბარი ყოფილა. აი რას მოგვი-
თხრობს ბ-ნი სოფლო-გუბი ღერ-
მონტოვზე ქურნად „Историчес-

— შენ იცი, ჩემო დათუნა, ცხენს
თუ არ დამიმშვე, იარაღს თვალ-ყური
აღვენი, კოპლები არავინ შემიწყვი-
ტოს-მეთქი.

— ქვე როგორ მეუბნები მაგას?
ღმერთი გადღევრძელებდეს. ცხენს
მზისა და ქერის მორევი შივასტურებ;
შენს იარაღს, როგორც ჩემს ორ სი-
ნათლემ თვალმს, ისე მოყუელი. და-
თუნამ ბოსელში შეიყვანა ჩემი ცხენი.
მისმა ცოლმა კი შინ დარბაზში შე-
მიპატივა. დარბაზი იყო წაბლის ხისა,
ისეთი წითელი, თითქოს სისხლით
ყოფილიყოს შეღებილი; თორმეტი
ცულის ტარი სიგმე ჰქონდა, შვიდი
განი. შუაგულ კერა იყო გაჩაღებუ-
ლი. იქით-აქეთ სიგმეზე, კედლებს ჩა-
უყვებოდნენ ტახტები და ლოგინები,
ხალებით და ნაბღის ქიჩვით მოფენი-
ლები. მაკარიის ზანღუკები, ბარე,
ექვსამდის იყო ჩამწკრივებული კედ-
ლებთან. მიწის იატაკი, თარა-თახები
და ზედ ლამაზად მილაგებული ქურკ-
ლები დახვეტილ-დაწმენდილ-დაკრი-
ლებული იყო.

გ. წერეთელი
(შემდეგი იქნება)

კი წესნიკს... ში: ერთს საღამოს სტუმრად ერთად ვიყავით ერთს მადიდ საზოგადოების კაცის სახლში...

მართალი მითხარი... გემის, მართალი... როგორც კარგს მეგობარს და პატიოსანს ვაცს გეუბნები...

რას მეუბნები, ლერმონტოვი! — დუყვირე მე გაფარებულმა: — როგორ შეგიძლიან, რომ მავსა მკითხავ, — შენ, რომელმაც დასწერე...

გარკო, — გამაწვევტინა სიუყვა ლერმონტოვმა, — მაშ უფრო დამიგდე: ეს-ნაა შენ, როგორც იცი, კავკასიაში მგზავნიან, როდესაც დაგბრუნდები, იმედო მაქვს, შენ დასწერე — შვილიანებულსა გნახავ. მაშინ დინჯი, დამფდარი კაცი იქნები, მეც დაგეგნავინდები, და მაშინ ორივემ ერთად დიდს უწინაღობს გამოცემა დაგეწყით...

მე, რასაკვირველია, დიდის სიამოვნებით დავთანხმდით, ამბობს სოფლოვგები, თუმცა რადცა გუფი კი მეუბნებოდა მაშინვე, რომ ჩვენ ამას ვერ მოვესწრებოდით...

მართლაც ასე მოხდა: ლერმონტოვს ვეფარ ეფირსა პეტერბურგში დაბრუნება. როგორც ვიცით, ლერმონტოვი პიატიგორსკში იყო მოკლული დუყელში. თითქმის თითონ ლერმონტოვიცა ჰვინდობდა, რომ ასეთი ბოლო მოეღოს. აი სოფლოვგები რას მოგვითხრობს ამის შესახებ.

ერთს საზოგადოებაში ლერმონტოვმა წაიკითხა ერთი თავისი საუკეთესო ლექსი, რომელმაც მთელი საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა. ბევრმა ლერმონტოვი პუშკინს შეადარა.

ლერმონტოვმა თავი გაქნია, მომიბრუნდა მე და მითხრა: — არა, მეგობარო, მე შორს ვარ პუშკინზე, — და მწარედ ჩაიციხა: — სამეზობლოც ცოტა დრო მრჩება, მომკვლენ, მხოლოდ... ლერმონტოვის წინასწარი გრძობა აღსრულდა.

წერილი რედაქტორის მიმართ
მოწყალეო სულწინავე,
მ-სა რედაქტორო!

თქვენის პატივცემულ გასეთის მე-110 № მეთაურს წერილში შედგომით მოყვანილია ერთი ადგილი ხემის სტატიაში: „სახსნობა და სიხსნება“. ეს გარემოება მაიძულეს გთხოვოთ, მისცეთ ადგილი ამ შენიშვნას.

სხენებულს მეთაურ წერილში ნათქვამია, სხვათა შორის, შემდეგი: „კავკავზ“-ს, თავის აზრის დასამტკიცებლად, მოაქვს რამდენიმე ცნობანი მ-ნ ვერმიშევის წიგნებიდან, რომელთაგანაც სხანს, რომ შუათანა შეძლების შეკომური სიხანი ისდის ღაღას 19—

25 მან. აქედამ წერილის ავტორს გამოაქვს დასკვნა: „მასხანადე, რადგან ჩვენში ერთის უნის შემუშავების დროს, მეორე ისვენებს, 1 დესიანინა მოხულის ყანაზე ხიზნები იხიდან ღაღას 38-ილამ 50 მანათამდე“.

იმ ტაბლიცაში კი, რომელიც დაბეჭდილია ხემს წიგნაკში, ნახვენება, რომ ყველაზე უფრო შეძლებული სიხანი (სიხანი—ლიტრა) ისდის თავის და საქონლის მუშაობით დესიანინაზე— 7,3, მან., ხოლო ნამუშევართ (ხორბალით) 4,8—5,2, მან., მასხანადე სულ 12—13 მანათს. იმავე ტაბლიცაში გამოანგარაშეუბნია, რომ უოკელნაირი გადასახდი სიხანის ერთს დესიანინა მიწაზე შეადგენს 19—25 მანათსა-თქო. როგორც ვხედავთ, ეს სრულიად ის არ არის, რასაც მანდალებს შე შეთაურის წერილის ავტორი. შე არც დასვენა გამოკვარება, რომელიც გამოიყვანა ავტორმა შედგომით მოყვანილ ცნობებსაგან, მაგრამ ამ შედგომისათვის მასხის-მეკეპელი, მგანია, შე არ უნდა ვიყო.

დასასრულ უნდა დავუმატო, რომ წერილის ავტორს უსათუოდ არ წაუკითხავს ჩემი სტატია და ამ სტატიის ცნობების დასაფასებლად უსულმძღვანელებს იმ მტირე ადგილით, რომელიც იყო მოყვანილი გას. «Кавказ»-ში.

თქვენი ერთგული და პატივის-მცემელი ქრ. ვერმიშევი
ტფილისი
4 ივნისს.

დეკემბ

7 ივნისს

მინდობრივი. გლანდსტანს წარმოუთქვამს სიტყვა და სხვათა შორის უთქვამს: შე დარწმუნებული ვარ, რომ ხალხს მოსწონს ჩემი ზოლიცა ირლანდიის შესახებ და დაბეჯითებით ვადგენარ იმ აზრს, რომ მხოლოდ ჩემს პრექტს შეუძლიან ირლანდიის საქმე ისე გადასწვებო, როგორც ყველანათვის სხსურველია.

მინდობრივი. დღეს დასაფლავეს კორალი; დასაფლავებაზე დიდ-ძალი ხალხსა დაესწრა; ცხედრის განსვენებას 1 1/4 საათი მანდამდეს.

მინა. პალატამ გადასწვებია, რომ უცხოეთიდან შემოტანილ ნავთს ბანა უნდა მოემატოს.

8 ივნისს

მინა. პალატამ დაამტკიცა წინადადება, რომ ტრაქტისი რეგენტად დაინაშნოს, ვადრე მეფე სხვან გან იმეფებოდეს. კრება პარლამენტისა ნოემბრის სუთამდის დაიშალა.

პარიში. სენატის კომისიამ პრინციების განდევნის თაბასკედ გამოთქვა წინააღმდეგე აზრი, რადგანაც არ შეესაბამება თავისუფლებასა და სხვა-და-სხვა სხსელმწიფობთან კეთილ-განწყობას ანგუბსა, ამას გარდა პრინციების განდევნის საქმე ექვემდებარება სხანამართლს და არა პარლამენტსა.

საქალმწიფარო ცნობანი
ქრისტეს აქედ ჩეპე (1886) წელიწადი.
ქვეყნის შემწილამ 7394.
ქველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი — ულ — 478
წელი. დიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი — მ — 42 წელიწადი. დიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1886 წლის ზედ-ნაღები — 3.
ივნისი 30 დღით არის.

10 დღე ხამბათი. მღვდელ-მოწამე ტომოე ებისკ., ქალწ. მოწ. ანტონინისი. სომ. წმ. ქალწ. მოწ. გაიანესი. მეს. 20 რიცხვი რამაზანის თვისას 1303 წ. ჰიერისა და 20 დღე რამაზანის მარხვისა. ქეშარიტი შუა-დღე 12—1—40, ტფილისში მზე ამოდის 4—25, ჩადის 7—38; მთარე ამოდის 11—25, ჩადის 9—36. მთარე 21 დღისა.

11 დღე ოთხშაბათი. წმ. მოციქ. ბართლომესი და ბარნაბისი. სომ. ნახატონაქი. მეს. ინია, ლოცვის დამე (შოტეისა). ქეშარიტი შუა-დღე 12—1—53. ტფილისში მზე ამოდის 4—25, ჩადის 7—38; მთარე ამოდის 11—54, ჩადის 10—27.

12 დღე ხუთშაბათი. ღირს. ონოფრესი, პეტრე ათონელისა და არნენისი. სომ. წმ. იონე წინა-მარხედისა, ათანაგენე ეპისკოპ. კათოლ. დღესასწაული ხორცისა და სისხლისა იესო ქრისტისი. ოსმალებმა და სპარსებმა ერთმანერთში პარობა შეჭრეს, რომლის ძალითაც ქართლი და კახეთი ოსმალების მფლობელობის ქვეშ შევიდა 1724 წ. ამავე დღეს შეჭრეს რუსეთმა და ოსმალებმა პარობა, რომლის ძალითაც რუსეთს უნდა დაეზობოდა კასპიის ნაპარსედ მდებარე ადგილები და ოსმალებს — საქართველო, და ურევისა და თავრისის მხარეები 1724 წ.

ქეშარიტი შუა-დღე 12—2—6; ტფილისში მზე ამოდის 4—26, ჩადის 7—38; მთარე ამოდის 11—54, ჩადის 11—29.

13 დღე პარასკევი. ქალწ. მოწ. აინდინისი, ღირს. ანანისი. სომ. ნახატონაქი. კათოლ. ანტონისა და ლუციანისი. ქეშარიტი შუა-დღე 12—2—19; ტფილისში მზე ამოდის 4—26, ჩადის 7—38; მთარე ამოდის 12—20, ჩადის 12—27.

14 დღე შაბათი. წინ. მეტყ. ელისესი, მეთოდი პატრიარხისა. სომეხ. წმ. გრიგორისი, სომეხთა განმანათლებელის ხაროდგან აღმოსვლა. კათოლ. ელისესისა და ვასილისა. ქეშარიტი შუა-დღე 12—2—32; ტფილისში მზე ამოდის 4—26, ჩადის 7—38; მთარე ამოდის 12—53, ჩადის 1—26.

15 დღე კვირა. წინ. მეტყ. ამოსისა. სომეხ. დღესასწაული ემპიანისი ეკლესიისა. კათოლ. ვიტასი და კრესცენციანისი. ქეშარიტი შუა-დღე 12—2—44; ტფილისში მზე ამოდის 4—26, ჩადის 7—38; მთარე ამოდის 1—29, ჩადის 2—27.

გაგონადევი ცნობანი
ნახრა
1 ივნისიდან 1-ლ ივლისამდე.
თეთრი ზური რუსული 1 გირ . 5 კაზ.
წითელი ზური 1-ის გირისისა . 2 1/2 >
> > 2 > >
> > 2 > >
თონის წითელი ზური 1-ის სარის. 4 1/2 >
> > 2 > >
> > 3 > >
> > 2 1/2 > >
ჯვარის მამის ზურის ღაღაში
1-ლის სარისისის . 4 1/2 >
მე-2 სარისისის . 3 1/2 >
მე-3 — . 3 >
ძროხის სორტი 1-ლის სარისისის. 8 >
> > 2 > >
> > 7 > >
სუკა 14 >
ცხვრის სორტი 7 >

Table with columns for months and days, listing various items and their prices. Includes sub-tables for 'ბათუმი' and 'ტფილისი'.

ქუთაისიდან გადის რიონს შუაღლის 12 საათსა და 20 წამზე და სამოზედ 5 საათსა და 15 წამზე.
რაონიდან ქუთაისის მიდის ნაშუაღლევს 1 საათსა და 30 წამზე და საღამოს 6 საათსა და 20 წამზე.

Table with columns for months and days, listing various items and their prices. Includes sub-tables for 'ტფილისი' and 'სურამი'.

ბანსხალუბანი

ისეიდება მოსე ჯანაშვილის-მიერ შედგენილი წიგნები:
სამართალმოს მოკლე ისტორია ფასი 60 კაპ.
(ეს წიგნი უმაღლესის მოაგრობისაგან მოწყობილია).
სამართალმოს სამაღსიმო ისტორია ფასი 45 კაპ.
მეცხალი ფასი 7 კაპევი.
შემდეგს ადგილებში: ტფილისში: გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნის მადანობში და აგრეთვე შემადგენელისას. ქუთაისში: ჭილაძის მადანობში. თეღაგში: ვ. როსტომიანი; სურამში: ა. ქარსიძესთან; ფოთში: ნუმარაძესთან. ყვარალში ბლოდ. დამამიძესთან.
ვინც 20 ცადს და გამოცემისას დაიბარებს პირ-და-პირ გამოცემელისაგან (Тифлекст Михайл. ულ. Г. Д. Карвелишвили), იმას წიგნი დაეთმება საშუალოდ. (10—7)

ბიბლიოგრაფიული განცხადება
დაიბეჭდა
რობინზონ კრუზო, თხზულება დეფოსი, თარგმანი რუსულიდან ანასტასია თუმანიშვილისა. გამოცემა „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა.“
ფასი მამისი შაური
საწყოები წიგნისა არის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების კანცელარიაში, ბანკის ქუჩაზე (Банковский переулок), სახლის № 23. ისეიდება ტფილისში: გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნთა მადანობში; ქუთაისში — მათა ჭილაძეების და ხონში — ნესტორ წერეთლის წიგნთა მადანობში.
ვინც ნაღდ ფულზედ იყიდის თვით საზოგადოების კანცელარიაში არა ნაკლებ 10 ცადისა, იმას დაეთმება წიგნი სუთ შუარად. (10—3)